



მეივის გალანტი

მეთოთუთმეტე
უბნიდან

დიდგენეს
გიგლოთუქა

მეივის გალანტი
მეთხუთმეტი უზნიდან

Mavis Gallant
FROM THE FIFTEENTH DISTRICT

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ქილაძემ და გია ჭუმბურიძემ



Canada Council Conseil des arts
for the Arts du Canada

We acknowledge the support of the Canada Council for the Arts.
Nous remercions le Conseil des arts du Canada de son soutien.

© Mavis Gallant 1973, 1974, 1975, 1976, 1977, 1978, 1979
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-663-6

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

3. 0.-6

სარჩევი

| | |
|--------------------------------|-----|
| წელიწადის ოთხი დრო | 9 |
| მაჰმადიანი ცოლი..... | 51 |
| რემისია | 102 |
| ტყვეობაგამოვლილი | 158 |
| გებრიელ ბაუმი, 1935 – ()..... | 190 |
| მეთხუთმეტე უბნიდან | 225 |
| პოტერი | 234 |
| დედამისი..... | 302 |
| ირინა..... | 320 |

წელიწადის ოთხი დრო

I

სკოლა, რომელშიც კარმელა ექვსი წელი დადიოდა, ვინმე დ-რ ბარნსის დაარსებული გახლდათ – იმ უცხოელისა, რომელსაც უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა საკუთარი ფულის დასაბანდებლად. იატაკზე დაჭედებულ, ლაქნასმულ მერხებიან ორ საკლასო ოთახში ინგლისიდან ჩამოტანილი რკინის კარადები იდგა; სკოლას ყველა უპატრონო ძაღლის საყვარელ ადგილად ქცეული სათამაშო მოედანიც ჰქონდა; დერეფანში გვერდიგვერდ ეკიდა ერთნაირ ჩარჩოებში ჩასმული მუსოლინის პორტრეტი და სკოლის მამა-დამაარსებლის ყავისფერდაკრული ფოტო, რაც უეჭველია, ამ უკანასკნელის მნიშვნელობაზე მიანიშნებდა. ამ ორი პატივცემული გვამის ზემოთ კი ცხენზე მჯდარი მეფე იწონებდა თავს მთელი თავისი ორდენ-მედლებით. უფრო განზე და ოდნავ ირიბად კათოლიკეების სათაყვანებელი წმინდა გულის გამოსახულება ეკიდა. თორმეტისა რომ გახდა და სკოლას აინუნშიც აღარ აგდებდა, მთელი დაზუთხული ისტორია-გეოგრაფია თავიდან ამოუვარდა, მაგრამ არასოდეს დავინწყებია ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული მამაკაცების გამოხედვა და არც აღმოდებულგულიანი იესოსი. სწორედ იმ წელს პირველად გაემგზავრა სახლიდან, ზედ აღდგომის წინ და ლიგურიის სანაპიროზე გადავიდა საცხოვრებლად, სადღაც ვენტიმილიასა და ბორდიგერას შორის. ახ-

ლა უკვე ბატონ და ქალბატონ უნივინებთან უნდა ეცხოვრა, საქმელი მოემზადებინა, დაენმინდ-დაელაგებინა იქაურობა, მათი ტყუპი გოგობისთვისაც მიეხედა. ტყუპებს ტესა და კლერი ერქვათ, კარმელასთვის სულაც არ იყო ძნელი მათი სახელების წარმოთქმა. უნივინებს პატარა სტამბა ჰქონდათ და შორიახლოს მდებარე ანგლოსაქსური დასახლებისგანაც არასოდეს მოკლებიან შეკვეთები. ისინიც დაუზარებლად ბეჭდავდნენ ათასგვარ საბუთებსა თუ განცხადებებს ბიბლიოთეკებისთვის, საკონსულოებისთვის, ანგლიკანური ეკლესიებისთვის და საქველმოქმედო ორგანიზაციების – ვთქვათ, ბრიტანული ლეგიონისთვისაც კი და ეს ყველაფერი ხანდახან სულაც მიმოგრაფით იყო გამრავლებული. ისიც ითქვას, ბ-ნი უნივინი შიგადაშიგ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შუამავლობასაც კისრულობდა. ეს წყვილი ზედ ქაჩალი მთის თავზე ცხოვრობდა, სადაც – მუდმივი უწყლობის პირობებში – ორიოდ კაქტუსის მეტი არაფერი ხარობდა. არადა, არც იმდენად შეძლებულები იყვნენ, წყლის ელექტროსაქაჩი შეეძინათ. ქ-ნ უნივინს გამუდმებით შაკიკის შეტევები აწუხებდა, რაც თავარა მზით, ყვავილების მტვრითა და მძაფრი სურნელით გახლდათ გამონვეული, თუმცა იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა თავს კარგად გრძნობდა, მუდამ მხარში ედგა ხოლმე ქმარს საბეჭდ დაზგასთან. ამ პატივსაცემ წყვილს თავის დროზე მზარეულიც ჰყავდა, დამლაგებელი ქალიცა და ბავშვების მომვლელიც, მაგრამ კარმელას იქ ჩასვლის მერე ეს უკანასკნელი დაითხოვეს; რაც შეეხება პირველ ორს, ისინი წელიწადზე მეტია, უნივინებთან აღარ მუშაობდნენ. სამზარეულოს ფანჯრიდან შეგეძლოთ დაგენახათ ფერდობზე შეფენილი მომცრო ხეები და ბუჩქნარი, რომელთა ყვავილობისას ქ-ნ უნივინს სატანჯველი არ აკლდებოდა; ყველა სიკეთესთან ერთად, მეზობლად მავანი ამერიკელი ქალიც სახლობდა, რატომღაც „მარკიზას“ რომ ეძახდნენ, რომლის ყვავილნარიც არანაკლებ მძაფრ სურნელს აფრქვევდა არემარეს.

კარმელას ფეხი არსად გაედგა საკუთარი სოფლისა და ამ სახლის იქით, ოღონდ ქ-ნმა უნივინმა ეს არ უწყოდა: პირველად ნახვისთანავე გაცრეცილი საფულე მიაჩეჩა ხელში და დაბლა ჩააგზავნა,

ბაზარში, სტაფილოსა და ხორცის ყველაზე იაფი ამონაჭრის შესაძენად. კარმელა ცნობისმოყვარედ ათვალერებდა ქვის გალავნებიან ვილებს, კვიპაროსის ხეებით გარშემორტყმულ, ყვითლად შეღებილ, აივნებიან საავადმყოფოს კედლებს; სანაპიროსთან რამდენიმე დაუმთავრებელი სახლიც იდგა: ჯერაც ჩარჩოჩაუდგმელი ფანჯრების იქით ზღვაც კი შეგვიძლოთ დაგენახათ. უცბად ვილაცის მისაზე ბევრად უფრო სუფთა იტალიურით ნათქვამს მოჰკრა ყური: „თავმოსაყივნებელი ამბავია! ვიმედოვნებ, როდისმე ამათი აღმშენებელიც მოყვება ნანგრევებში... უნვინმაც დააბანდა ამაში ფული და გაკოტრდა კიდევ“. ქალბატონი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა, ისეთი თვალწარმტაცია, ნაზ ცისფერ ფერებში გადაწყვეტილი კაფეს ჩარდახის ქვეშ იჯდა, რომ კარმელა შეეცადა, არ მიშტერებოდა. მაგრამ როგორც კი სხვა რამეზე მზერის გადატანას შეეცადა, მისვე თვალში მოხვდა უნიფორმაში გამონყობილი მძღოლი, რომელიც გაკრიალებულ-გაპრიალებული მანქანის კარს მიყრდნობოდა ზურგით. იცნო კიდევ – კასტელ-ვიტორიოდან იყო. იმას კი წარბიც არ შეუხრია და გოგოც არ შეიმჩნია. კარმელა მიხვდა, ახალი ცხოვრება ეწყებოდა და ისიც კარგად ესმოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ ძალამოსილ, უცნაურ ხალხში: ჩუმად და შეუმჩნევლად – როგორც ჭიჭყინა, ახლა რომ სწავლობს ღრმა წყალში ცურვას.

თავიდან კარგად არც ესმოდა ხოლმე, რას ეუბნებოდნენ, ან ქ-ნი უნვინი რას მოითხოვდა მისგან. მაგალითად, როცა მან განაცხადა, „ნაბლის ხეები გადასარევედ იყრიან კვირტებს თქვენს მხარეში, მაგრამ მათი ყვავილების მტვერი პირდაპირ მომაკვდინებელია ჩემთვისო“, კარმელა ბოსტნეულის დაჭრას შეეშვა და მომლოდინედ მიაჩერდა სახეში. „რა ვთქვი ახლა ასეთი? – გაკვირვა ქ-ნმა უნვინმა. – რა პატარა მერცხალივით შეფრთხილდები ხოლმე ყოველ ჩემს ნათქვამზე!“. კარმელა მაინც იცდიდა, თმა არათანაბრად ჰქონდა გადავაცხნილი ყურებს უკან, ტანზე რუხი ქვედაკაბა და ბამბის პერანგი ეცვა, მხრებზე კარდიგანის ჟაკეტი მოესხა, ფეხებზე კი სანდლები ამოეცვა. არც წინდები გააჩნდა, არც მეორე ხელი საცვალი, არც ფეხსაცმელი, არც რამ ზემოდან მოსაცმელი

– პალტო ან ლაბადა – მაგრამ ყელზე ძენკვიანი მედალიონი შეება, სიცილიელი ბებიის დანატოვარი, რომლისგანაც ერგო კიდეც თავისი სამხრეთული სახელი. ქალბატონ უნვინს უკვე შეემონებინა მისი ყურის ბიბილოები – აქაოდა გახვრეტილი ხომ არა აქვსო: მსგავსს ვერაფერს აიტანდა, ასე ვთქვათ, სულიერი ამაოებისა და ხორცის განწვალვის გამო. ეს რომ მოითავა, ქმარს გადაულაპარაკა: კარგია, რომ მუსოლინი ნელ-ნელა კრძალავს ამეებს, მარტო მედალიონების ტარების ნებას აძლევს ქალიშვილებსო.

– ისე, ჩვენში დარჩეს და შემეშალა რამე? თუ „ნაბლის ხე“ არასწორად გამოვთქვი? არა მგონია, ჩემი იტალიური ამდენად ცუდი იყოს...

მერე პანია მწვანე ლექსიკონი ამოიღო ჯიბიდან და გადაფურცლა, თან თვალის მოჭუტვა და თავის გვერდზე გადაწვავს მოუწია სიგარეტის ბოლის გამო.

– ხომ არ მითქვამს, ცხენისნაბლა-მეთქი, – დააზუსტა სიგარეტის აქეთ-იქით ქნევით. – არა, იტალიურად მაინც ძაან მაზალოდ გამოითქმის, ცხენისნაბლა. ეგენი გვიან ყვავილობენ.

– ყველა ყვავილს თავისი დრო აქვს გასაფურჩქნად, – თქვა გოგონამ. დარწმუნებული იყო, ამ საუბარს რალაც ფარული სარჩული ედო, ოღონდ ჯერ ვერ იაზრებდა, რა: ინგლისურისა და ღვლარჭნილი იტალიურის ნარევი საკმაოდ ძნელი გასათავისებელი იყო მისთვის. ისე, აქამდე არც ვინმე ქალი ენახა, ასე გაუთავებლად რომ ეფუილებინა სიგარეტი.

– მაგრამ შენი ოჯახი ხომ მართლა ნერვიის ხეობაში სახლობს? – არ ეშვებოდა ქალბატონი უნვინი. – დედა, მამა, დები და დეიდაშვილ-მამიდაშვილები... ხომ ყველანი ერთად ცხოვრობთ? – ეტყობა, ამასხრებდა და ასე მართლა დამზაფვრელი ჩანდა. – მარია, ლილიანა, იგნასიო, ფრანკამარია... – ჩამოთვალა თავისი ყოფილი მსახურების სახელები.

– ალბათ ასეა, კი... – თქვა კარმელამ.

დედამისი ბორდიგერაში ჩამოვიდა ერთი დიდი სასტუმროს სამრეცხაოში სამუშაოდ. მისი უმცროსი ძმა კი ქვისმთელეს მიე-

ბარა შეგირდად. მამამისი ალბათ აღარც იყო ცოცხალი. კარმელას შავ-თაღზი სამოსიც ერთგვარად ნახევრად სამგლოვიაროდ შეიძლებოდა მიგეჩნიათ.

– მუსოლინის სურს, ეს გაბერილი ოჯახები დაშალოს, – თქვა საკუთარი სიტყვების შეუვალ სიმართლეში დარწმუნებულმა ქ-ნმა უნვინმა. მაღალ სკამზე შემომჯდარიყო და ყვავილებს ასწორებდა ლითონის თუნგში. უცებ სიგარეტი ჩააჭყლიტა საფერფლეში და ჭიქიდან ჩაი მოსვა. ხელებზე კანი დალაქვოდა და დანაოჭებოდა, კარმელას ის არაბუნებრივად მაღალი და უკვე მთლად ასაკოვანი ეჩვენებოდა, თუმცა ტესასა და კლერის დედა კი იყო, რომელთაც ჯერ სამი წელიც არ შესრულებოდათ. თეთრი ვარდები, რომლებსაც ის ეკლებიან-ფოთლებიანად ტენიდა თუნგის ვინრო ყელში, კასტელ-ვიტორიოელმა მძლოლმა მოართვა სამზარეულოს კართან. ამჯერად რატომღაც განსხვავებულად ხაზგასმით დაუკრა თავი.

– იცნობ მაგას? – ქალბატონ უნვინს განა რა გამოეპარებოდა.

– მგონი, ქალაქში შევხვდი სადღაც.

– მეეჭვება, – ნამსვე მოუჭრა ქალბატონმა უნვინმა, თუმცა ხმაში საყვედური არ შეჰპარვია. – იმან იცის, შენ ვინა ხარ, მთელ შენს ოჯახს იმან შეანია სიტყვა. *შრომის მოყვარული ხალხია, არამსმელი, მთელ ნერვიის მხარეში კარგი სახელი აქვთ დაგდებულიო.* სწორედ ასე თქვა. ასე რომ, არავითარი ლაზღანდარობა კაცებთან და არც უკანა კართან დიდხანს ჩამოკიდება იყოს! – დაამატა უცბად სულ სხვა ხმით.

თეთრი ვარდები შერიგებისა იყო: წინა დღეს მეზობლის ძაღლს, რომელსაც მძლოლი ასეირნებდა ხოლმე, უნვინთა სამფლობელოში მთლად რაღაც ბალის მშვენება გადაეთქერა. მაგრამ ქალბატონმა უნვინმა რატომღაც განაცხადა, დიბა-ატლასში გამონყობის დრო არა მაქვს და არც პირბადიან ქუდს ვატარებო; იმაზე აღარას ვამბობ, მძლოლი დავისვა საყვარლადო. კარმელამ, ცხადია, თავი-ბოლო ვერ გაუგო ამისთანებს და საკუთარი ბრალეულობის შეგრძნებაც გაუჩნდა.

– მაგის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, სინიორა! – თითქოსდა მისგან აზრიან პასუხს მოელოდა ვინმე.

აი, საიდანაც ვარდები მოიტანეს, იქ კი ყველაფერი გადათეთრებული გახლდათ, სიმწვანეში ჩაფლული და სურნელით სავესე. ზოგ ყვავილს კარმელა სახელსაც ვერ უძებნიდა. სამაგიეროდ, რადიოდან იღვრებოდა საამო ხმები. იქაურობა „მარკიზას“ ეკუთვნოდა. ეგ იყო სწორედ, თავმოსაყვივებელიო რომ თქვა.

მაისში იქიდან მონაბერმა ყვავილის მტვერმა, შეიძლება ითქვას, მთლად წელში გატეხა ქალბატონი უნვინი. თუმცა არც ლემის ერთი დიდრონი ბუჩქი აყრიდა სიკეთეს თავისი ზანზალაკებისმაგვარი, ხორციანი ყვავილების წყალობით: მათი მძაფრზე უმძაფრესი სურნელი ნამდვილი ბანგი იყო ქ-ნი უნვინის მყიფე ნერვიული სისტემისათვის. მანაც კარმელას უხმო თავის ძალად ჩაბნელებულ საწოლ ოთახში და პანია გასაღებით ტყავის ზარდახშა გააღებინა, სადაც საფირონის, მარგალიტისა და ზურმუხტის სამშვენისები ეწყო.

– ეგეთების გადამალვისა არაფერი მნამს. გეუბნები, სადაც დევს და გასაღები კიდეც მუდამ უჯრამია.

კარმელამ ისევ ისე, ბრალდებულივით იგრძნო თავი.

ამასობაში დედას ბავშვები ჩამოუსხდნენ საწოლის კიდეზე. წყნარი ბავშვები იყვნენ, მუდამ ძილის მოსურნენი; ოქროსფერი თმა ჰქონდა ორივეს, რბილზე რბილი და კარმელასაც მათი ვარცხნა არასოდეს ბეზრდებოდა. მარტო ეგ იყო ცუდი – მეტისმეტად ზარმაცები გახლდნენ და ზედმეტი სიარულიც ესიკვდილებოდათ. ხან ერთის ხელში აყვანა უწევდა, ხან მეორის და ასე დაატარებდა ხოლმე, პატარა მაიმუნივით ილლიაში ამოჩრილს. ამის გამო ცოტათი გვერდზე გადახრილი სიარულიც კი დასჩემდა. გაზაფხულიდან მოყოლებული, კლერისა და ტესას წონა დაამახსოვრდა და კიდეც ის, მუდმივად შიმშილის შეგრძნება რომ აწუხებდა. არასოდეს უნახავს, ხალხს ისე ცოტა ეჭამოს, როგორც უნვინების ოჯახს, მთლად უღარბეს ხალხშიც კი. თხელზე უთხელეს კატლეტს სჯერდებოდნენ, ან სალათის მონარჩენებს, ან ერთ კინკილა კვერცხს, ან ხორცის ციციქნა ნაჭერს. ბავშვებისა და კარმელას საკვებიც ამაზე

ბევრად მანერე არ ყოფილა. არა, ქალბატონ უნვინს აზრადაც არ მოსვლია, საკუთარი შვილები დაემშია, უბრალოდ, გულწრფელად სჯეროდა, რომ ამაზე მეტი არც იყო საჭირო. თუმცა ისიც ითქვას, ხორცი ძვირი ღირდა, ხილიც და სხვაასაც რას გინდა, რომ ცეცხლის ფასი არ სდებოდა: ყველიო, კარაქიო, ყავაო, რძეო... უნვინები კი ფულზე ქესატად იყვნენ. სახლი ჰქონდათ, გამართული საბეჭდი დაზგა, ავეჯი, ბალი, მანქანა და მოახლე კარმელაც არ დაგავინყდეთ, მაგრამ ფულისა – რა მოგახსენოთ. სასტუმრო ოთახის ნოხი გვარიანად გაცვეთილი ჩანდა, მუქი ღვინისფერი შპალერიც არანაკლებ გაქექილიყო. ქალბატონი უნვინი მუდამ გულმოდგინედ ითვლიდა საყიდლებზე მიმავალი კარმელასათვის მისაცემ ფულს და ხურდასაც ასევე გულდაგულ მიითვლიდა ხოლმე.

პარასკეობით უნვინები კარმელას საფრანგეთის მხარეს აგზავნიდნენ, საცა რალაც-რალაცეები – ვთქვათ, შოკოლადი და ბანანები – უფრო იაფად იშოვებოდა; თუმცა მარტო ეგ არ იყო მიზეზი: ასე ჩანდა, იტალიის მინაზე მონეული ბოსტნეული მუცლის ტიფსაც ხშირად აჩენდა. კარმელა ავტობუსში ჯდებოდა და საზღვარს რომ მიაღწევდა, იქვე გადადიოდა, ორ ნაბიჯში (მესაზღვრეები უკვე სახეზე ცნობდნენ) და ბაზარს მიაშურებდა ხოლმე, ამაზე შორს არასოდეს წასულა. იქიდან აუცილებლად გრძელი ფრანგული ბატონით ბრუნდებოდა, რადგან ეს იყო ერთადერთი, რასაც ბ-ნი უნვინი სიამოვნებით შეექცეოდა – აკი მუდამ უმადობას უჩიოდა და მათ სახლში საჭმლის ნაკლებობა ამითაც გახლდათ განპირობებული. კარმელა ერთ ყუას ატეხდა და მერე მეორე ბოლოსაც, ერთგვარი სიმეტრიისათვის, ოლონდ იმას კი სამომავლოდ ინახავდა.

გოგონას ორი სხვა რამეც უფორიაქებდა სულს იმ გაზაფხულზე: ერთი იმ ოთახს ეხებოდა, რომელშიც დასაძინებლად მიუჩინეს ადგილი, მეორე კი თავად ზღვა იყო. მართალია, მთელი თავისი ცხოვრება ზღვისგან არც ისე შორს გაეტარებინა, მაინც ეხამუშებოდა მასთან ასე ახლოს ყოფნა. ღამღამობით ესმოდა, როგორ ეხლებოდა დიდრონი ტალღები თავამოყოფილ კლდეებს და ესიზმრებოდა, რომ წყალს მიჰქონდა; საჩქაროდ სურდა, სახლის სახურავზე

ეშველა თავისთვის, მაგრამ ასე ჩანდა, სიკვდილი არ ასცდებოდა. ერთხელ ბაღში, ტყუპებს რომ ეხვეწებოდა, ცოტა ფეხითაც გაევილოთ, კასტელ-ვიტორიოელ მძღოლს ჰკითხა – რა ხდება, როცა ზღვა ნაპირზე გადმოდის ხოლმეო?

იმას კიდევე, მოკლესახელოებიან მაისურში გამოწყობილსა და ქალბატონი „მარკიზას“ სასეირნოდ გამოყვანილი ძაღლების საბელებს ჩაბლაუჭებულს, რატომღაც სიცილი აუტყდა:

- რას ნიშნავს „ნაპირზე გადმოდის?“
- ახლა სადაც არის, იქიდან ნაპირზე რომ ამოიწვეს.
- ის არსად არ გადმოდის და არსადაც არ ამოიწვეს. სადაც არის, იქ რჩება.
- და იმის იქით რაა?

– უფრო მეტი მლაშე წყალი, – უთხრა. – იმის იქით კი აფრიკაა. კარმელამ პირჯვარი გადაიწერა – არა იმდენად ღვთისმოსაობის გამო, რამდენადაც მამის სულის სახსენებლად, რომელიც სავარაუდოდ, სწორედ იქ აღესრულა. ომში გაიწვიეს და აღარც დაბრუნებულა. არც სიტყვა მოსვლიათ ვინმესგან, არც დეპეშა, არც სამძიმარი ვითომც პირადად მუსოლინისაგან და რა თქმა უნდა, არც პენსია.

რაც შეეხება ოთახს, იქ კარადაც კი არ იდგა, მაღალჭერიანი იყო, იატაკზე პარკეტი ეგო და მშვენიერი ხედიც იშლებოდა ფანჯრიდან. ეგაა, რომ ვილაც მომკვდარიყო იქ – ქ-ნი უწვინის ვილაც ნათესავი; სტუმრად ჩამოსულიყო მათთან და მეორე დღესვე იატაკზე გაშხლართული ეპოვათ, ხელში ელექტროზარის ჩამრთველი ჩაებლუჯა.

– მშვიდად მიიცვალა, – თვითონაც მშვიდად განუცხადა ქ-ნმა უწვინმა კარმელას, თითქოსდა გოგონას უცილობლად უნდა სცოდნოდა ეს ამბავი. – ზარის დარეკვაც კი ვერ მოასწრო.

ისე, მოხუცს თურმე გული აწუხებდა, კიბზე ასვლა უჭირდა და კაცმა რომ თქვას, ვინ იყო მისი რეკვის გამგონი? ზარი დერეფანში გაისმოდა – მსახურებს კი იმ დღეებში საკუთარ სახლებში ეძინათ, უწვინები ძილის წამალს სვამდნენ – ყვითელ-მწვანე აბებს, სამზარეულოში გადმოიყრიდნენ ხოლმე ქილიდან და მერე

უკვე ლოგინში ყლაპავდნენ. კარმელას იმ ღარიბი ნათესავის ამბავი უთუთქავდა გულს, უკეთესი ჰავის იმედად რომ ჩამოვიდა აქ და ყველაზე დამთრგუნველ ოთახში კი გაამწესეს მასპინძლებმა; ის ალბათ იხრჩობოდა, შიშმა და ზაფრამ მოიცვა, ზარი ჩაბლუჯა და იმიანად დაეცა ძირს, უსულოდ. ოღონდ კასტელ-ვიტორიელ მძღოლს სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა: ეს სახლი ბ-ნი უნვინის მოხუც ბიძას ეკუთვნოდა და მათ გადასცა იმ პირობით, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება მასზე იზრუნებდნენ; მაგრამ ისეთ ვალეებში იყო ჩავარდნილი, უნვინებმა მათი დაფარვა ვერაფრით მოახერხეს და ლამის აქეთ სამათხოვროდაც კი გაუხდათ საქმე. მძღოლს თურმე ხშირად მოუკრავს თვალი ბაღში მოსიერნე იმ კაცის აჩრდილისთვის და კარმელასაც არაერთხელ გაუგონია ყრუ ბრავგანის ხმა, თითქოს რაღაც მძიმე სხეული დაცემულიყოს მისი სანოლის სიახლოვეს და დარწმუნებულიც გახლდათ, სანოლქვეშ ეშმას თუ ავსულს დაუბუდიაო, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე სანოლქვეშ. მიტომაც ცოცხალი თავით ზედ არ ჩამოჯდებოდა და ბავშვების წესისამებრ, ფეხების ქნევას არ მოჰყვებოდა. წესადაც ჰქონდა, თავ-ფეხიანად გახვეულიყო საბანში და მხოლოდ თხუნელას სოროსავით ვინრო გვირაბს იტოვებდა სასუნთქად. თმის კულული რაა, იმასაც კი არ დატოვებდა გარეთ გამოჩრილს.

მაგრამ იმ ზაფხულს ყოველი დილა ერთმანეთზე მშვიდი იყო – ჯერ მტრედისფერი, მერე ვარდისფრდებოდა და ბოლოს ოქროსფერი ედებოდა ირგვლივ ყველაფერს. სახლშიც სიმშვიდე სუფევდა – ტყუპებს ეღვიძათ და იღიმებოდნენ, ფანჯრიდან გამტკნარებული ზღვა მოჩანდა, რომლის ზედაპირზეც თოლიები ირწეოდნენ. ნელ სიოს „მარკიზას“ ბალნარიდან მძაფრი სურნელი მოჰქონდა. ივნისის სითბომ კარმელას მოჩვენებებიც მიაძინა, გარდაცვლილი მოხუცი ბიძაც სადღაც თავისთვის მისვენებულიყო და სანოლქვეშ განაბულ აჩრდილებსაც რული მოკიდებოდათ.

თვის ბოლოს კარმელას პატარა ძმა ქვისმთლელს გამოეცა და სამზარეულოს კარს მოადგა. ხორბლისფერი თმა ოფლის, მტვრისა და ჭუჭყისაგან ჩამუქებოდა და სახეც ერთიანად მოსთხვროდა. კარმელამ პურის ის გადანახული ყუა მისცა და ჭიქა რძეც დაუსხა. საკუჭნაოს ბოქლომი ედო და სანამ საუზმის დრო არ მოაწევდა, ქ-ნი უნვინი ცოცხალი თავით მისი გამღები არ იყო. რძიანი ჭიქა მიანოდა ბიჭს და ბ-ნი უნვინის (მადლობა ღმერთს, არა ქ-ნი უნვინის) ხმაც გაისმა.

- ეს ვის გავახსენდით?
- მათხოვარი იყო, ბატონო.

ტყუპების მამა ახლომხედველი გახლდათ. სქელშუშინან სათვალეს ატარებდა და არასოდეს აუნევდა ხმას, ღიმილით კი იშვიათად თუ გაიღიმებდა. ბიჭს ახედ-დახედა და ჰკითხა:

- რატომ მათხოვრობ? ვინმე გაიძულეს?

ბიჭს ხელში რალაც ჩაებლუჯა, იქნება და მოპარული რამ ნივთიც კი. ბ-ნი უნვინი უგულო ვინმე არ გახლდათ, მაგრამ მკაცრი კი იყო. მაჯაში ჩაავლო ბიჭს ხელი და თითები გააშლევინა, მაგრამ მოთხვრილი ხელისგულისა და მოჭყლეტილი პურის ქერქის მეტი ვერაფერი დაუნახა.

– მაინც რატომ ქურდობ-მეთქი? – გაუმეორა კითხვა. – იტალიაში ახლა ისე არავის უჭირს, სამაგისოდ ჰქონდეს საქმე... რა, დედ-მამა სახლში ზის ფეხი ფეხზე გადადებული და შენ გაგზავნიან ფულის საშოვნელად?

ცხადზე უცხადესი იყო, ბ-ნი უნვინი ამგვარ უსამართლობას ვერ შეურიგდებოდა. ბიჭი ხმას არ იღებდა და მალე კაცი მიხვდა, სულ ტყუილად რომ ჩაჰფრენოდა მის ჭუჭყისაგან ჩაშავებულ მაჯას.

– სად ცხოვრობ? – ჩაეკითხა და უნებლიეთ ხელიც უშვა. – არ ვარგა ასე კარდაკარ ბოდიალი. ვინმემ შეიძლება პოლიციასაც კი გამოუძახოს. – არადა, სულაც არ უგულისხმია, ეს შეიძლება მეც ვქნაო.

– უკვე მიდის, – თქვა კარმელამ. ბიჭმა ზრდასრულივით სევდიანად გამოხედა და გოგონამაც ისე ნაღვლიანად გაამშრალა ჭიქა და თაროზე ისეთი სახით შემოდგა, რომ მოგვიანებით ბ-ნმა უნვინმა ცოლს უთხრა – მთლად შეყვარებულებივით იქცეოდნენო.

– რამე მაინც მიეცი, – სიტყვა დაუგდო და კარმელამაც თავი დაუქნია; არც უხსენებია, საკუჭნაო დაკეტილი რომ ჰქონდათ: რა, თავად უკეთესად არ მოეხსენებოდა?

კარმელას უკვე კარგად ესმოდა ინგლისური, მაგრამ ამას ვერავინ ხვდებოდა. როცა ცოლ-ქმრის ლაპარაკს ყური მოჰკრა, ერთი კარგი ხურო გვჭირდება, რომ ბალს ქვის ღობე გაუკეთოს, თორემ ასე მავთულხლართით შემოღობილი სანამდე უნდა იყოს, დაგვაჯარიმებენო, – ხმა არ გაუღია. მაშინაც კი შეუვალი უარის გამომხატველი გამომეტყველება მიიღო, როცა მოილაპარაკეს – კარმელას ვკითხოთ, ვინმე აქაური, სანდო და იაფად შემსრულებელი აუცილებლად ეცოდინებაო. ისე, ეს სულ „მარკიზას“ ხიმიანობა იყო – დაუჩივლია, მავთულხლართი ხედს მიმახინჯებს და ჩემი უძრავი ქონების ფასი ამის გამო შეიძლება დაეცეს კიდევო. ქალბატონი უნვინი კი ქმარს დაჰპირდა, ქალი არ ვიყო, ეს წყენა თუ როდისმე დავივინყო.

ის ნათელი, რომლის დადგომისთანავე სახლის აჩრდილებს ძილქუში ეცემოდათ ხოლმე, ქ-ნ უნვინს მხოლოდ დამატებით თავსატეკეარს უჩენდა. ცხვირს აღარ ყოფდა იმ თავისი ფარდებდაშვებული საძინებლიდან და კარმელას დაბრუნებული ხურდის გადათვლაც კი ავიწყებოდა. დ-რი ჩაფი, რომელიც მთის ძირას მდებარე კლინიკაში მუშაობდა, დათანხმდა ქ-ნი უნვინის მონახულებას და ბარემ ბავშვებსაც დაგვხდავო, უთქვამს ბ-ნ უნვინისათვის, რომელმაც შესჩივლა, ბავშვები საერთოდ უარზე არიან გარეთ ფეხის გამოდგმაზეო. დ-რი ჩაფი არც იტალიელი იყო და არც ინგლისელი; იმ ინგლისელ ექიმს, რომელიც ხაზგასმული ყურადღებით ექცეოდა ქ-ნ უნვინსაც და მის შვილებსაც, ამ მხარეში მუშაობისთვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო. როგორც უთქვამს, ომისა ემინოდა თურმე. სანყალი. მუსოლინის ხომ არ უნდოდა ომი

და არც ჰიტლერს, რამე რომ იყოს... და რა აზრისა იყო ამის თაობაზე ექიმი ჩაფი? ბოლოს და ბოლოს, ის ბერლინში გახლდათ ნაც-ხოვრები.

– რატომ უნდა იღვლეოთ ვითარებაზე, რომლის შეცვლა არ შეგიძლიათ? – ასეთი პასუხი გასცა დ-რმა ჩაფიმ. ის ჯერ კიდევ იმ თაღს სამოსს ატარებდა, ცოტა უფრო სხვა ჰაეისთვის რომ იყო შესაფერისი.

– სულაც არ ველავ... – თქვა ქ-ნმა უნვინმა და სახე მოიჩრდილა. კარმელას ფარდები გადაენია, რათა ექიმს ბავშვების გასინჯვა დღის სინათლეზე შესძლებოდა.

შინიდან ფეხის გადაგმა კი არ ეზარებათ, რაქიტი სჭირთო, – უთხრა ბოლოს ბავშვების დედას. ვინმეს რომ ეკითხა, მაგას კარმელაც ეტყოდა. ისიც კარგად მოეხსენებოდა, ამას რომ აღარაფერი ეშველებოდა. არადა, ქ-ნი უნვინი განანწყენებული ჩანდა:

– აკი იმ ჩვენმა ინგლისელმა ექიმმა გვითხრა, ძვლების დარბილების ბრალიაო...

– რძე სჭირდებათ, – აინუნში არ ჩააგლო მისი ნათქვამი ექიმმა ჩაფიმ. – და არც მოხდელი უნდა იყოს. ასევე, ქორფა ხილი, თევზის ქონი...

ყველაფერი ქალაქზე ჩამონერა და ისიც დაამატა, აგვისტოში ზღვისპირს უნდა მოაშოროთო. ქალბატონმა უნვინმა ახლა სახეზე აიფარა ხელები, ნელა და ხმაჩანყვეტილმა თქვა: „ჩემი ბრალია... მეტისმეტად ასაკოვანი ვიყავი ამისთვის. უფლება არ მქონდა, ეს სახიჩარი ბავშვები მომეველინა ამქვეყნად“.

ოღონდ ექიმი ჩაფი რატომღაც მაინცდამაინც დიდად არ აუღელვებია ამ სიტყვებს. იქვე მდგარ კარმელას მხრებზე მოხვია ხელი და იკითხა:

– ამ ბავშვზე რას მეტყვით? რამდენი წლისაა?

კარმელას ახსოვდა, რომ სიტყვა არ უნდა გაეგო ინგლისურად; ამიტომაც ენაჩავარდნილი შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს. ექიმმა ახლა იტალიურად გაიმეორა შეკითხვა, თან ამჯერად უშუალოდ გოგონას მიმართავდა.